ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 75

2016 წლის 15 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47[2]-ე მუხლების, ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს № 415 დადგენილების, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნბრძანების, საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი“ დანართი 1–ის შესაბამისად.
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი შემუშავებულია ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნბრძანების საფუძველზე და არეგულირებს ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურასა და ნორმებს, ასევე მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის) ჩატარების წესს.

1.2. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც;

ა) მიღებულიაქვს„ეროვნულისასწავლოგეგმისდამტკიცებისშესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება, წარმატებით აქვს ჩაბარებული ,,საგნის გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 სექტემბრის N124/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგნის გამოცდის ჩატარების წესით გათვალისწინებული იმ საგნის გამოცდა, რომლის შესაბამისი აკადემიური ხარისხიც/განათლებაც აქვს;

ბ) ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდება ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე; სრულყოფილად წარმოადგინა ამ წესით დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარა ბსუ-ს მიერ დაწესებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა და დადგენილი ვადებში გააფორმა ხელშეკრულება ბსუ-ს თან.

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია

2.1. აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადები და ადგილი, ასევე რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირები (მიმღები კომისია/კომისიები) განისაზღვრება ყოველწლიურად, რექტორის ბრძანებით.

2.2. აპლიკანტმა რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (დანართი 1) და ანკეტა (დანართი 2);

ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი დედანთან ერთად;

გ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული).

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

2.3. აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან. აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი აპლიკანტთა აღრიცხვას აწარმოებს სპეციალურ ჟურნალში, სადაც ფიქსირდება აპლიკანტის სახელი და გვარი, პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, აპლიკანტისა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები, რეგისტრაციის თარიღი.

2.4. აპლიკანტებად რეგისტრირდებიან მხოლოდ ის პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საგნის გამოცდა და წარმოადგინეს დოკუმენტაცია წინამდებარე წესის 2.2 პუნქტის შესაბამისად.

2.5. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, შემოსული განცხადებების მიხედვით, ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს საგამოცდო უწყისების მომზადებასა და აპლიკანტთა სიების ელექტრონული და ბეჭდური ვერსიის ბსუ-ს საგამოცდო ცენტრისთვის მიწოდებას.

3. ბსუ-ს მიერ დადგენილი მისაღები გამოცდა

3.1. ბსუ-ს აკადემიური საბჭო ყოველწლიურად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, განსაზღვრავს მომავალი სასწავლო წლისთვის მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მისაღებ კონტინგენტს (მიმართულებების მიხედვით), სწავლის საფასურს, გამოცდისათვის მინიჭებულ კოეფიციენტებს და სხვა აუცილებელ ნორმებს.

3.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით. გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 51%;

3.3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3.4 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს ბსუ–ს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრი.

3.5. მისაღები გამოცდის ჩატარების განრიგი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3.6. აპლიკანტთა საგამოცდო ნამუშევრების გასწორების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, იქმნება საგამოცდო კომისია (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით).

3.7. მისაღები გამოცდის შედეგები ფიქსირდება საგამოცდო უწყისში (დანართი 3) და ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე, საგამოცდო უწყისის შევსებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი საგამოცდო კომისია.

4.მისაღები გამოცდის შედეგების გასაჩივრება

5.1. აპლიკანტს უფლება აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის შედეგების გასაჩივრების მიზნით მიმართოს ბსუ-ს რექტორს საპრეტენზიო განაცხადით, გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 1დღის ვადაში.

5.2. აპლიკანტის საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს პრეტენზიის კონკრეტული მიზეზი.

5.3. საპრეტენზიო საბჭო განიხილავს მხოლოდ იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო განაცხადში პრეტენზიის კონკრეტული მიზეზის დაუფიქსირებლობის შემთხვევაში, პრეტენზია არ განიხილება. საპრეტენზიო საბჭოს უფლება აქვს შეფასების ობიექტურობის/არაობიექტურობის დადგენის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი.

5.4. აპლიკანტისათვის თავდაპირველი შედეგის შესწორების ან ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საპრეტენზიო საბჭო.

5.5. საპრეტენზიო განაცხადების განხილვა და განხილვის შედეგების აპლიკანტისათვის გაცნობა ხდება რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში,

5.6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის შედეგების შეცვლის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში აპლიკანტის გვარის გასწვრივ კეთდება ჩანაწერი ,,შესწორებულია n ქულა", უწყისის ბოლოს კი ფიქსირდება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერა, ამასთან საგამოცდო უწყისს უნდა დაერთოს საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება გამოცდის შედეგების გადახედვის შესახებ.

5.7. საპრეტენზიო განაცხადების განხილვის ვადის ამოწურვისთანავე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების შედეგები ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბსუ-ს საპრეტენზიო საბჭო

4.1. აპლიკანტთა მიღების პროცედურასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება გამოცდის საპრეტენზიო საბჭო, არანაკლებ 3 წევრის

შემადგენლობით. საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს რომელიმე საგამოცდო კომისიის წევრი.
4.2. საპრეტენზიო საბჭო განიხილავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ დარღვევებსა და მისაღები გამოცდის შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს.
4.3. საპრეტენზიო საბჭოს მუშაობასა და საბჭოს სხდომებს უძღვება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარე. საპრეტენზიო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა უმრავლესობით.
4.4. საპრეტენზიო საბჭოს მუშაობის შედეგები და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელიც დასტურდება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.
4.5. საპრეტენზიო საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს, საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს საპრეტენზიო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

6. აპლიკანტთა ბსუ-ში ჩარიცხვა
6.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით დგება რანჟირების დოკუმენტი. რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის პირი, რომელმაც შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული საგნის გამოცდა და ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა წარმატებით ჩააბარა. რანჟირების დოკუმენტის მიხედვით დგინდება იმ აპლიკანტთა სია, რომლებმაც მოიპოვეს კონკრეტულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება.
6.2. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტებთან ხელშეკრულების გაფორმებას და დადგენილ ვადებში რექტორს წარუდგენს ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტთა სიას.
6.3. აპლიკანტთა ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა რექტორის ერთიანი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიეწოდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
6.4. აპლიკანტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ წესში, მაგრამ გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანებიდან, მიიღება ბსუ-ს რექტორის მიერ.

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტის
რექტორს, _____

_____

(სახელი, გვარი)

(მისამართი, ტელეფონი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულზე

_____

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის
მითითებით

_____ „_____“ „_____“ 201
წელი განმცხადებლის ხელმოწერა

დანართი 2.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------
გვარი ----------
დაბადების თარიღი ___/____/_____
რიცხვი თვე წელი
პირადი ნომერი_____
ფაქტობრივი მისამართი ----------
რეგისტრაციის მისამართი ----------
სქესი:□ მამრობითი □ მდედრობითი
მობილური/ტელეფონი ----------
ელ-ფოსტა: ----------
ფაკულტეტი ----------
სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა ----------
პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით ----------
---
საგნის გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------
---

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ფაკულტეტი, სპეციალობა**	**კვალიფიკაცია**	**სწავლის პერიოდი**

რომელ ენებს ფლობთ?
_____
_____

▪ ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)
_____
_____

ვადასტურებმითითებულიინფორმაციისადაწარმოდგენილიდოკუმენტაციისსისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები.

_____
(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____
(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

დანართი 3

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
მისაღები გამოცდის შეფასების უწყისი №

“ ___ “ _____ 201 წ.

ფაკულტეტის დასახელება _____

საგანმანათლებლო პროგრამა _____

№	აპლიკანტის გვარი, სახელი	პირადი ნომერი	შეფასების კომპონენტები					კომპონენტების ჯამი
			ესსეის ძირითადი იდეის (მიზნის) ჩამოყალიბება: 0-20 ქულა	საკითხის ზოგადი ცოდნა, ორიგინალური ხედვა და თანმიმდევრული მსჯელობა: 0-30 ქულა;	ლოგიკური დასკვნების გამოტანა; 0-15 ქულა;	საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი გამყარება: 0-15 ქულა;	წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი): 0-20 ქულა	
1.								
2.								
3.								
4.								

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე:

_____ _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა) (ხელმოწერა)

საგამოცდო კომისიის წევრები:

1. _____ _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა) (ხელმოწერა)

2. _____ _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა) (ხელმოწერა)

3. _____ _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა) (ხელმოწერა)

4. _____ _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა) (ხელმოწერა)